

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №7

2011 წლის 21 იანვარი

ქ. სენაკი

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულება დამტკიცების შესახებ

ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტისა და 43-ე მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად,

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 10.05.2011წ.

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის თანდართული დებულება.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 17 იანვრის №1 დადგენილება.

3. დადგენილება ძალაშია საქართველოს კანონით „ნორმატიული აქტების შესახებ“ დადგენილი წესით, გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ბ. ნარმანია

შეტანილი ცვლილებები:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის დადგენილება №20 - ვებგვერდი, 10.05.2011წ.

დანართი №1

სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახურის დებულება

მუხლი 1. სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური

1. გამგეობის სახანძრო დაცვისა და სამაშველო სამსახური (ტექსტში შემდგომ – სამსახური) არის სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის სტრუქტურული ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოშობილი ხანძრების, ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის სტიქიური უბედურებების ლიკვიდაციას და სხვა სამაშველო ღონისძიებების ჩატარებას სამოქმედო ტერიტორიაზე. აგრეთვე, ახორციელებს სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელებას აღმასრულებელი ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის, კულტურის, საგანმანათლებლო, სააღმზრდელო, სამეცნიერო დაწესებულებებზე, საკონცერტო და სამაყურებლო დანიშნულების, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტის, შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროს ობიექტებზე.

2. სამსახური თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობის, გამგეობის დებულების, ამ დებულებისა და სენაკის მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

3. სამსახურის სამტატო განრიგი განისაზღვრება გამგეობის სამტატო ნუსხით, ხოლო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოები – საკრებულოს დადგენილებით.

4. სამსახურს აქვს შტამპი, ბეჭედი და ბლანკი საკუთარი სახელწოდებით და სხვა საჭირო რეკვიზიტებით.

5. სამსახურის ადგილსამყოფელია სენაკი, ვ. გორგასლის ქ. №90.

მუხლი 2. სამსახურის სტრუქტურა

1. სამსახური შედგება სამსახურის უფროსის, სტრუქტურული ქვედანაყოფის – განყოფილებისაგან და საჯარო მოსამსახურეებისაგან.

2. სამსახურის სტრუქტურული ქვედანაყოფია:

ა) სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განყოფილება.

3. სამსახურის საქმიანობას წარმართავს სამსახურის უფროსი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება გამგეობის დებულებით და სამუშაოთა აღწერილობით. უფროსის არყოფნის შემთხვევაში,

სამსახურის უფროსის უფლება-მოვალეობებს გამგებლის დავალებით ახორციელებს ერთ-ერთი განყოფილების უფროსი.

4. სამსახურის განყოფილება შედგება განყოფილების უფროსისა და განყოფილების მოხელეებისაგან.

5. განყოფილების საქმიანობას წარმართავს განყოფილების უფროსი, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება გამგეობის დებულებით და შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობით. განყოფილების უფროსის არყოფნის შემთხვევაში განყოფილების უფროსის უფლება-მოვალეობებს ახორციელებს განყოფილების ერთ-ერთი მოხელე.

6. სამსახურის მოხელეების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება გამგეობის დებულებით, შესაბამისი სამუშაოთა აღწერილობებითა და შინაგანაწესით.

7. სამსახურის მოხელეთა თანამდებობაზე დანიშვნა-გათავისუფლებისა და სამსახურებრივი კარიერის გავლის წესები განისაზღვრება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 10.05.2011წ.

მუხლი 3. სამსახურის ფუნქციები

სამსახური დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) აკონტროლებს დაქვემდებარებულ დანაყოფებში სამსახურებისა და ხანძრის ჩაქრობის ორგანიზაციასა და განხორციელების წესის შესრულებას, ტაქტიკური და პროფესიული მომზადების სრულყოფას;

ბ) ხანძრების ჩაქრობის ღონისძიებებს;

გ) ხანძრებისა და მათი შედეგების, ასევე პირველი რიგის საავარიო-სამაშველო (ტექნიკური) სამუშაოების აღრიცხვას;

დ) სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელების სფეროში „სახანძრო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით განსაზღვრული სხვა ფუნქციების შესრულებას;

ე) სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის და სამსახურის ორგანიზაციის დახვეწის მიზნით კონტროლს და მეთოდური დახმარების გაწევას დაქვემდებარებული დანაყოფისადმი;

ვ) ხანძრებზე სამსახურის დანაყოფების მუშაობის გაანალიზებას; წინადადებებისა და ღონისძიებების მომზადებას პირადი შემადგენლობის საბრძოლო მომზადების ამალებისათვის;

ზ) ხანძრის ჩაქრობაში მონაწილე ყველა ფორმირების ოპერატიულ მართვას;

თ) მიწისძვრის, წყალდიდობისა და ფორს-მაჟორულ სიტუაციაში სამაშველო ოპერაციების დაგეგმვას და განხორციელებას;

ი) საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობის მიღებას სამაშველო ოპერაციებში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ;

კ) ოპერატიულ რეაგირებას სამაშველო საჭიროებასთან დაკავშირებით შემოსულ ყველა შეტყობინებაზე;

ლ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედგენასთან დაკავშირებით თვითმმართველობის ორგანოების ხარჯთა ნუსხის პროექტების შემუშავებას და წარდგენას, სამსახურის ორგანიზაციისათვის საჭირო რიცხოვნობისა და სტრუქტურული საკითხების გადასაწყვეტად წინადადებების მომზადებას;

მ) დაქვემდებარებულ დანაყოფებში სახანძრო-სამაშველო ტექნიკისა და ტექნიკური შეიარაღების ექსპლოატაციის მდგომარეობის კონტროლს;

ნ) სახანძრო დაცვისა და სამაშველო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხებში ურთიერთთანამშრომლობას მუნიციპალიტეტის სხვა სამსახურებთან და ორგანიზაცია-დაწესებულებებთან;

ო) მოქმედი კანონმდებლობით და მუნიციპალიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა ფუნქციების განხორციელებას.

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 აპრილის დადგენილება №19 - ვებგვერდი, 10.05.2011წ.

მუხლი 4. სამსახურის სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განყოფილების ფუნქციები

1. სამსახურის სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განყოფილება დადგენილი წესით უზრუნველყოფს:

ა) სახელმწიფო ხანძარსაწინააღმდეგო ზედამხედველობის განხორციელებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებულ იმ ობიექტებზე, რომელიც ნებადართულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ხანძრისა და სხვა სტიქიური უბედურებების თავიდან აცილების პროპაგანდის ჩატარებას და აგიტაციას მოსახლეობაში;

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მომხდარი ხანძრის საქმეების მომზადებას შსს პოლიციის სამმართველოში და საგანგებო სიტუაციების დეპარტამენტში გასაგზავნად.

დ) მოქმედი კანონმდებლობით, გამგეობის დებულებით და მუნიციპალიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 5 . (ამოღებულია - 29.04.2011 №20)

მუხლი 6. (ამოღებულია - 29.04.2011 №20)